ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №79

ქ. თელავი 25 დეკემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ **ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი" წარმოდგენილი მისი დირექტორის კონსტანტინე დოლიძის** სახით (შემდგომში " შემსყიდველი "), და მეორეს მხრივ ი.მ შოთა ბინიაშვილის სახით, (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

1.1 ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი): (საკუთარი შემოსავლებით - ვაუჩერი), ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, (საქონლის დასახელება, CPV კოდი, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოყვანილია N1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 694.4 **(ექვსას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი 40 თეთრი)** ლარს (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების გათვალისწინებით).

3.მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისი შესყიდვის ობიექტი.

3.2 საქონლის მიწოდების ადგილია: **ქ. თელავი, ერეკლე მე-II გამზ N6**

3.3 მიწოდებას თან უნდა ახლდეს სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის 2020 წლის 25 დეკემბრიდან 2020 წლის 30 დეკემბრამდე.

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინეული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი" მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი დავით კუკუნაშვილი.

5. ანგარიშწორება

5.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5.2 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშწორება.

5.3 ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

გ) არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება, თუ მისი ხარისხი არ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს;

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადაუხადოს მიმწოდებელს შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) მიიღოს მიწოდებული საქონელი;

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ, მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი'' მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი დავით კუკუნაშვილი..

8.2 იმსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს;

8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ინტერესთა კონფლიქტი

9.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით;

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი მოვალეობების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

11.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

11.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორსმაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორს-მაჟორი);

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე, ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

15. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

დასახელება: ა(ა)იპ კოლეჯი ,, პრესტიჟი"
მისამართი: ქ. თელავი ქართული უნივერსიტეტი ქ. №1
საიდენტიფიკაციო კოდი - 231287005
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა
მიმღები ბანკი: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
telavi.prestige@gmail.com
ტელ; (0350) 27 34 40 27 59 69

დირექტორი:
კონსტანტინე დოლიძე

მიმწოდებელი:

დასახელება: ი.მ შოთა ბინიაშვილი
მისამართი: ქ. თელავი, ერეკლე მე-II გამზ N6
საიდენტიფიკაციო კოდი - 20001001378
მომსახურე ბანკი: ს.ს ,,ვითიბი ბანკი"
ბანკის კოდი: UGEBG22
ა/ა. № GE65VT2900000011713602
ტელ: 599 54 36 26

შოთა ბინიაშვილი

Shota Biniashvili
Digitally signed by Shota Biniashvili
Date: 2020.12.25 16:17:57 +04'00'

დანართი N1

2020 წლის 25 დეკემბრის N79 ხელშეკრულების

№	საქონლის დასახელება	CPV-კოდი	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ.ფასი	სულ ჯამი
1	USB ტიპის ინტერფეისის მქონე უსადენო ქსელის ადაპტერი ლბ-LB-link bl-wn 151	32418000	ცალი	3	19	57
2	მულტიფუნქციური უსადენო ქსელის როუტერი tp-link wr-820	32413100	ცალი	2	49	98
3	კომუტატორი სვიჩი tp-link 1008d	32420000	ცალი	1	32	32
4	დენის ფილტრი	31224810	ცალი	1	19	19
5	ქსელის ტესტერი	31212200	ცალი	3	25	75
6	მულტიმეტრი	31212200	ცალი	1	24	24
7	ქსელური კაბელის კონექტორის მომჭერი (ჯეკმეიკერი)	44512000	ცალი	3	20	60
8	ფანარი	31521320	ცალი	2	16	32
9	კომპიუტერის გამწმენდი საშუალებების ნაკრები (ეკრანის გამწმენდი, შეკუმშული აირი, ფუნჯი)	30237251	ცალი	3	18,8	56,4
10	ფლეშ-მეხსიერება 32 GB	30234600	ცალი	2	25	50
11	აუდიო აღჭურვილობა defender x361	32342412	ცალი	1	165	165
12	დინამიკები defender-spk 170	32342412	ცალი	1	26	26
	სულ ჯამი:					694,4

ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი''
დირექტორი
კონსტანტინე ფოლოდე

ი.მ შოთა ბინიაშვილი
შოთა ბინიაშვილი